ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3828316

ნომერი: AR1565172

თარიღი : 15.12.2017

გაცემის თარიღი : 18.02.2018

გაცნობის თარიღი : 18.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 / ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 28 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ზალდასტანიშვილი (ყოფ. ფერხული და ყოფ. ლიბკნეხტი), N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ კახიშვილი პ/ნ 01031005063
- ქ.თბილისი. ფალიაშვილის ქუჩა 39. ბინა 28ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 15 დეკემბრის AR1565172 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისში, 8 მარტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:01.15.05.004.092) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას. პასუხად გაცნობებთ,რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე, სადაც უარი ეთქვა ქ. თბილისში, 8 მარტის ქ. N38/8 მარტის ქ. N28/ზალდასტანიშვილის ქ. N26/8 მარტის ქ. N8, N38-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქმშენებლობითი პარამეტრების (კ1=0.5-დან კ1=0.7-მდე) მომატების საკითხს. რეკომენდაცია: ესკიზში დამუშავდეს სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტა იმგვარად, რომ ჩაეწეროს ისტორიული განაშენიანების კონტექსტში. მოწესრიგდეს სახურავების თემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 15 დეკემბრის AR1565172 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.